საიდ. N72726/03

IR 1007759

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N01-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიების ,,ათმაჯა ელექთრონიქ სანაიი ვე თიჯარეთ ლიმითედ შირქეთი" (ATMACA ELEKTRONIK SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) (მის.: ნამიქ ქემალ მაჰალესი, 177, სოქაქ N2, ესენიურთ, სტამბული, თურქეთი; Namik Kamel Mahallesi, 177, Sokak, N2, ESENYURT, ISTANBUL (TR)) და ,,სანი ელექთრონიქ სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი (SUNNY ELEKTRONIK SANAY VE TICARET ANONIM SIRKETI) (მის.: ნამიქ ქემალ მაჰალესი, ადილე ნაშით ბულვარი N18, ესენიურთ ბიუიუქჩექმეჯე, სტამბული, თურქეთი; Namik Kemal Mahallesi, Adile Naşıt Bulvarı No: 18 ESENYURT BÜYÜKÇEKMECEö ISTANBUL (TR)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №01-03/15), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების

განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N662/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 და მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) დაცვის მინიჭება მე-9 და მე-11 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N662/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „SUNNY" (ლათინური ანბანით შესრულებული) ჟღერადობით ჰგავს კომპანიის ,,ორაკლ ამერიკა, ინკ.“ (Oracle America, Inc.) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებულ ლათინური ანბანით შესრულებულ ნიშანს: ,,SUN“ (რეგ. N10333, რეგ. თარიღი: 19/08/1998წ.), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-9 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, ხოლო იდენტურია შპს „სტრომოსი“-ის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული, ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა: „SUNNY“ (რეგ. N 20013, რეგ. თარიღი: 18/11/2009წ.), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-11 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, განცხადებული საქონლის ნაწილის, კერძოდ, მე-9 და მე-11 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტის წარმომადგენელი, არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არიან იმდენად მსგავსნი, რომ ადგილი ჰქონდეს მათი აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „SUNNY" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,SUN“ (რეგ. N10333) არათუ არ არიან იმდენად მსგავსნი, რომ ადგილი ჰქონდეს მათი აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, არამედ ისინი სულაც არ არიან მსგავსნი. ძალიან დიდი ფანტაზიური თუ მხედველობითი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მომხმარებელს, რომ მან დაპირისპირებულ ნიშნის წაკითხვა შესძლოს, თანაც როგორც ,,SUN“ და არა (იგივე ლოგიკით) ,,UNS“, ანუ გააჩნია წრიულად რომელი მიმართულებით წაიკითხავს და იმავდროულად უნდა აღმოაჩინოს ასობგერა S, რომელიც, აპელანტის მტკიცებით, დაპირისპირებულ ნიშანში არ არის. აპელანტი მიიჩნევს, რომ დაპისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არ არის ვიზუალური მსგავსება.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჟღერადობით მსგავსებას, აპელანტის აზრით, თუ მომხმარებელმა დავუშვათ და მაინც იცის დაპირისპირებული ნიშნის წაკითხვა როგორც ,,SUN“, ისინი ჟღერადობითაც განსხვავდებიან. სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან შინაარსობრივადაც, ერთი ითარგმნება როგორც „მზიური“, მეორე როგორც „მზე“ და ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამასთან აპელანტი განმარტავს, რომ მსგავსებაზე მსჯელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს მომხმარებელი წაიკითხავს როგორც SUN, იგივე წარმატებით შეგვიძლია იგი წავიკითხოთ როგორც UNS, (გერმანულიდან ითარგმნება როგორც „ჩვენ“), რასაც არაფერი საერთო არ ექნება განცხადებულ ნიშანთან.

რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნისა და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „SUNNY“ (რეგ. N20013) მსგავსების საკითხს, აპელანტი მიიჩნევს, რომ ეს ნიშნები იმდენად მსგავსია, რომ ადგილი ექნება მათი აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მაგრამ ამასთან, აპელანტი განმარტავს, მიუხედავად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებისა, ექსპერტს მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალის მხოლოდ ნაწილისათვის უნდა ეთქვა უარი, ვინაიდან საქონლის ნაწილი სრულიად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალისაგან, კერძოდ: განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალია: ,,მოწყობილობანი განათებისთვის, კულინარიისთვის, გაცივებისთვის, გასაშრობად, სავენტილაციო, წყალმომარაგებისა და სანიტარული მიზნებისათვის“. (Apparatus for lighting, cooking, refrigerating, drying, ventilating, water supply and sanitary purposes).
დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალია: ,,სანტექნიკის მოწყობილობა, მათ შორის, უნიტაზები, პირსაბანები, ბიდეები.“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი მიიჩნევს, რომ ექსპერტიზას დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსად უნდა ჩაეთვალა მხოლოდ საქონლის „მოწყობილობანი წყალმომარაგებისა და სანიტარული მიზნებისათვის“ და უარი უნდა ეთქვა აღნიშნულ მე-11 კლასში მხოლოდ ნაწილობრივ.

გარდა ამისა, აპელანტი სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა შეზღუდა მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „მოწყობილობანი განათებისთვის, კულინარიისთვის, გაცივებისთვის, გასაშრობად და სავენტილაციო მიზნებისათვის“, რაც კარდინალურად განსხვავებულია იმავე კლასში მოქცეული დაპირისპირებული ნიშნის საქონლისაგან: „სანტექნიკის მოწყობილობა, მათ შორის, უნიტაზები, პირსაბანები, ბიდეები“.

ამდენად, აპელაციის შემოტანის მომენტისათვის აღმოფხვრილია მე-11 კლასში უარის თქმის საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N662/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 და მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) მიენიჭოს დაცვა მე-9 და მე-11 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №01-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ,,მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,SUN“ (რეგ. N10333) არ არიან აღრევამდე მსგავსი. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,SUN“ (რეგ. N10333)

გამოსახულებითია და წარმოადგენს რომბის ფორმაში მოთავსებული ლათინური ანბანის ასოების კომბინაციის შედეგად მიღებულ სიმბოლოს. სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი აღიქმება როგორც რომბის გამოსახულება, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომხმარებელმა დაპირისპირებული ნიშანი ვიზუალურად აღიქვას და წაიკითხოს როგორც ,,SUN“ ან ,,UNS“. რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, ის სიტყვიერია და წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებული ჩანაწერს ,,SUNNY“. შესაბამისად, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც დაპირისპირებულმა სასაქონლო ნიშნებმა შეიძლება მოახდინონ მომხმარებელზე განსხვავებულია.

იმ შემთხვევაში, თუ ქართველი მომხმარებელი განცხადებულ სასაქონლო ნიშანს აღიქვამს როგორც არამხოლოდ რომბის გამოსახულებას, არამედ ასევე როგორც სიტყვიერ ჩანაწერს, გამოთქვამს მას შემდგენაერად -,,სან“ ან ,,უნს“. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს, ის ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც ,,სანი“. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ფონეტიკურად განსხვავებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, და განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) უნდა დარეგისტრირდეს მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „SUNNY“ (რეგ. N20013), სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ისინი იდენტურია. ნიშნები იდენტურია როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად.

ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანის ასოებით და წარმოადგენენ ჩანაწერს „SUNNY“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის იდენტურად - ,,სანი“.

იდენტურია სასაქონლო ნიშნების სემანტიკა და ქართულად ,,მზიანს“ ნიშნავს.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ საქონლის ცამონათვალის შეზღუდვის მიუხედავად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი დარჩება მსგავსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) არ უნდა მიენიჭოს დაცვა მე-11 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიების ,,ათმაჯა ელექთრონიქ სანაიი ვე თიჯარეთ ლიმითედ შირქეთი“ (ATMACA ELEKTRONIK SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) და ,,სანი ელექთრონიქ სანაიი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი (SUNNY ELEKTRONIK SANAY VE TICARET ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N01-03/15) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის

მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N662/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SUNNY“ (საიდ. N72726/03, IR 1007759) მიენიჭოს დაცვა მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. ებრალიძე

ქ. კილაძე